Andersen Georgia LLC
3 Lado Kavsadze street
0162 Tbilisi, Georgia
andersen.ge

შპს ანდერსენ ჯორჯია
ლადო კავსაძის ქუჩა 3
0162 თბილისი, საქართველო
andersen.ge

Tax Newsletter
October 2023

Amendments in Corporate Income Tax and Value Added Tax

Amendments were made in the Tax Code of Georgia, in particular, in the Corporate Income Tax and Value Added Tax sections, which refer to the free supply of goods. According to the mentioned amendment, the free supply (transfer) of food by a participant of the food supply chain to a food charity organization/food bank is not subject to Corporate Income Tax and therefore is not considered as free supply of goods.

As for Value Added Tax, free of charge supply of food (donation) by a participant of the food supply chain to a food charity organization/food bank is exempted from VAT with the right of deduction in accordance with the law of Georgia.

The food supply chain is defined by the relevant legislation as a complete cycle of food supply, which includes all stages of food supply from its production to its reception by the beneficiary, and a participant in the food supply chain is a natural or legal person who participates in the food supply chain.

The amendment was made on 4 October 2023 and comes into force on 1 January 2025.

Amendments in the instructions for filling a WHT tax return

According to the amendments made in the Order №996 of the Minister of Finance of Georgia "On Administration of Taxes", an Appendix “E” was added to the WHT tax return. The person is obliged to reflect in the appendix the information about the service fee payments made to individuals in the reporting month, which are not taxed at the source of payment.

The attachment must contain the identification/personal number of the recipient, the name and surname of the recipient, the address, the person's residence (country), the type of service and the amount of the payment.

The amendment was made on 19 October 2023 and comes into force on 1 January 2024.

Andersen in Georgia is a member firm of Andersen Global®, an international association of member and collaborative firms presented in more than 174 countries, providing tax, legal, valuation, business advisory services and other services to its clients operating in diversified industries.

Andersen Georgia LLC
3 Lado Kavsadze street
0162 Tbilisi, Georgia
andersen.ge

შპს ანდერსენ ჯორჯია
ლადო კავსაძის ქუჩა 3
0162 თბილისი, საქართველო
andersen.ge

Amendments about information of Enterprise Shareholders/Partners which should be presented to the tax authorities

According to the amendments made in the Order №996 of the Minister of Finance of Georgia "On Administration of Taxes", from 1 January 2024, enterprises will be obliged to submit information about shareholders/partners to the tax authority no later than January 30 of each year. In case of a change in the composition of shareholders/partners, the enterprise is obliged to submit the information immediately after the change has been made, but no later than January 30 of the following calendar year.

The implemented change will not have effect legal entities registered under Georgian legislation and associations created in accordance with the Law of Georgia "On Homeowners' Associations". In case of violation of the mentioned obligation, the person will be fined according to Tax Code of Georgia.

The amendment came into force on 1 January 2024.

Amendments in the procedures for conducting inventory

According to the amendments made in the Order №994 of the Minister of Finance of Georgia, among other purposes, the purpose of the inventory is to record the actual state and balance of the stock of goods. This is carried out by the relevant structural unit of the Revenue Service based on the request of the tax authority/law enforcement body or on its own initiative.

The procedure of accounting of the actual state and balance of the stock of goods will be concluded by the inventory commission by drawing up the protocol "On accounting of stock of goods and material values" and sending it to the tax authority/law enforcement body together with the relevant documents.

Further, if the tax authority is conducting a tax audit, in case of non-filling or incomplete filling of the protocol "On the balance of the stock of goods and material valuesrecorded in accounting documents", the relevant structural unit conducting inventory has the right to terminate the procedure and send the protocol "On accounting of stock of goods and material values" together with the relevant documents to the tax authority.

The amendment was made on 18 October 2023 and comes into force on 17 November 2023.

Andersen in Georgia is a member firm of Andersen Global®, an international association of member and collaborative firms presented in more than 174 countries, providing tax, legal, valuation, business advisory services and other services to its clients operating in diversified industries.

Andersen Georgia LLC
3 Lado Kavsadze street
0162 Tbilisi, Georgia
andersen.ge

შპს ანდერსენ ჯორჯია
ლადო კავსაძის ქუჩა 3
0162 თბილისი, საქართველო
andersen.ge

Restrictions were imposed on the export of cattle

According to the amendments in the Order №1559 of the Government of Georgia, to ensure access to food of animal origin on the local market in Georgia and to maintain consumer prices, the export of female cattle and male cattle with a live weight of up to 160 kg will be prohibited until 1 January 2024 (HS code 0102).

The amendment came into force on 20 October 2023.

This publication provides only general information, and it is not recommended to make decisions on specific cases based solely on this document. It is important that you consult a professional before making any decisions. Andersen in Georgia disclaims any liability for any loss resulting from actions taken or not taken by individuals relying on the information in this publication or making decisions based on it. In case you would like to discuss the issues addressed in this publication with relation to the specific circumstances relevant for you, please contact Andersen in Georgia.

George Svanadze, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)
Managing Partner | Attorney-at-Law
george.svanadze@ge.andersen.com
Lasha Adamashvili, LLB, LL.M
Head of Tax and Advisory
lasha.adamashvili@ge.andersen.com
Giorgi Khanjaliashvili, LLB, LL.M
Tax Manager – Tax and Advisory
giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com

Andersen in Georgia is a member firm of Andersen Global®, an international association of member and collaborative firms presented in more than 174 countries, providing tax, legal, valuation, business advisory services and other services to its clients operating in diversified industries.

Andersen Georgia LLC
3 Lado Kavsadze street
0162 Tbilisi, Georgia
andersen.ge

შპს ანდერსენ ჯორჯია
ლადო კავსაძის ქუჩა 3
0162 თბილისი, საქართველო
andersen.ge

საგადასახადო სიახლეები
ოქტომბერი 2023

ცვლილება მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების ნაწილში

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“, კერძოდ, მოგების გადასახადის და დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში განხორციელდა ცვლილება, რომელიც ეხება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებას. აღნიშნული ცვლილების თანახმად მოგების გადასახადით არ იბეგრება და შესაბამისად უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებად არ განიხილება სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის/სურსათის ბანკისთვის სურსათის უსასყიდლოდ მიწოდება (გადაცემა).

განხორციელებულმა ცვლილებამ მოიცვა დამატებული ღირებულების გადასახადიც და ჩათვლის უფლებით გათავისუფლდა საქართველოს კანონის შესაბამისად, სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის/სურსათის ბანკისთვის სურსათის უსასყიდლოდ მიწოდება (გადაცემა).

სურსათის მიწოდების ჯაჭვი შესაბამისი კანონმდებლობით გასაზღვრულია, როგორც სურსათის მიწოდების სრული ციკლი, რომელიც მოიცავს სურსათის მიწოდების ყველა ეტაპს მისი წარმოებიდან ბენეფიციარის მიერ მის მიღებამდე, ხოლო სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილე გახლავთ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სურსათის მიწოდების ჯაჭვში მონაწილეობს.

ცვლილება მიღებულია 2023 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო ამოქმედდება 2025 წლის 1-ლი იანვრიდან.

ცვლილება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების ინსტრუქციაში

„გადასახადის ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციას დაემატება დანართი „ე“. პირი ვალდებულია დანართში ასახოს ინფორმაცია საანგარიშო თვეში ფიზიკურ პირზე განხორციელებული განაცემების შესახებ, რომელიც უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ იბეგრება გადახდის წყაროსთან.

"ანდერსენ ჯორჯია" მსოფლიოს 174-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი და ასოცირებული ფირმების საერთაშორისო გაერთიანების, ანდერსენ გლობალის (Andersen Global®) წევრია, რომელიც კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო, იურიდიულ, შეფასების და ბიზნესის საკონსულტაციო სერვისების ფართო სპექტრს.

დანართში უნდა აიახოს განაცემის მიმღების საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, განაცემის მიმღების სახელი და გვარი, მისამართი, პირის რეზიდენტობა (ქვეყანა), მომსახურების სახე და განაცემის ოდენობა (თანხა).

ცვლილება მიღებულია 2023 წლის 19 ოქტომბერს, ხოლო ამოქმედდება 2024 წლის 1-ლი იანვრიდან.

ცვლილება საწარმოს პარტნიორთა/მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის წარდგენის შესახებ

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში შესული ცვლილების თანახმად, 2024 წლის 1-ლი იანვრიდან საწარმოები ვალდებულები იქნებიან პარტნიორთა/მოწილეთა შესახებ ინფორმაცია წარუდგინონ საგადასახადო ორგანოს, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 30 იანვრისა. ხოლო, პარტნიორთა/მონაწილეთა შემადგენლობაში ცვლილების შემთხვევაში საწარმო ვალდებულია ინფორმაცია წარადგინოს ცვლილების განხორციელებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი კალენდარული წლის მომდევნო წლის 30 იანვრისა.

განხორციელებული ცვლილება არ შეეხება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირებს და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ამხანაგობებს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესით.

ცვლილება ამოქმედდება 2024 წლის 1-ლი იანვრიდან.

ცვლილება ინვენტარიზაციის ჩატარების პროცედურაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №994 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სხვა მიზნებთან ერთად ინვენტარიზაციის მიზანია სმფ-ის (საქონლის მარაგების) ნაშთის ფაქტობრივი მდგომარეობის აღრიცხვა. აღნიშნული შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ხორციელდება საგადასახადო/სამართალდამცავი ორგანოს მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

სმფ-ის (საქონლის მარაგების) ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობის აღრიცხვის პროცედურა შესრულდება საინვენტარიზაციო კომისიის მიერ „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ“ ოქმის შედგენით და შესაბამის დოკუმენტებთან ერთად საგადასახადო/სამართალდამცავი ორგანოსათვის გაგზავნით.

ამასთან, თუ მიმდინარეობს საგადასახადო შემოწმება, „სააღრიცხვო დოკუმენტებში აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ“ ოქმის დადგენილ ვადებში შეუვსებლობის/არასრულად შევსების შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული

"ანდერსენ ჯორჯია" მსოფლიოს 174-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი და ასოცირებული ფირმების საერთაშორისო გაერთიანების, ანდერსენ გლობალის (Andersen Global®) წევრია, რომელიც კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო, იურიდიულ, შეფასების და ბიზნესის საკონსულტაციო სერვისების ფართო სპექტრს.

Andersen Georgia LLC
3 Lado Kavsadze street
0162 Tbilisi, Georgia
andersen.ge

შპს ანდერსენ ჯორჯია
ლადო კავსაძის ქუჩა 3
0162 თბილისი, საქართველო
andersen.ge

უფლებამოსილია შეწყვიტოს ინვენტარიზაციის პროცედურა და „სააღრიცხვო დოკუმენტებში აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ“ ოქმი შესაბამის დოკუმენტებთან ერთად გადაუგზავნოს საგადასახადო ორგანოს.

ცვლილება მიღებულია 2023 წლის 18 ოქტომბერს, ხოლო ამოქმედდება 2023 წლის 17 ნოემბრიდან.

მსხვილფეხა საქონლის ექსპორტზე დაწესდა შეზღუდვები

საქართველოს მთავრობის №1559 განკარგულებაში შესული ცვლილების თანახმად, საქართველოში ადგილობრივ ბაზარზე ცხოველური წარმოშობის სურსათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სამომხმარებლო ფასების შენარჩუნების მიზნით, 2024 წლის 1-ლი იანვრამდე აიკრძალება მდედრი მსხვილფეხა საქონლისა და 160 კგ-მდე ცოცხალი მასის მქონე მამრი მსხვილფეხა საქონლის ექსპორტი (სეს ესნ-ის კოდი 0102).

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 20 ოქტომბრიდან.

პუბლიკაციაში გთავაზობთ ზოგად ინფორმაციას და მხოლოდ მასზე დაყრდნობით კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ არის რეკომენდირებული. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია მიიღოთ პროფესიონალის კონსულტაცია. ანდერსენ ჯორჯია არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია იმ ქმედებებით, რომლებიც განხორციელდა ან არ განხორციელდა ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუ გსურთ ამ საკითხების განხილვა თქვენთვის რელევანტური კონკრეტული გარემოების კონტექსტში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ანდერსენ ჯორჯიას.

გიორგი სვანაძე, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)
მმართველი პარტნიორი | ადვოკატი
george.svanadze@ge.andersen.com
ლაშა ადამაშვილი, LLB, LL.M
საგადასახადო და საკონსულტაციო პრაქტიკის ხელმძღვანელი
lasha.adamashvili@ge.andersen.com
გიორგი ხანჯალიაშვილი, LLB, LL,M
საგადასახადო მენეჯერი
giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com

"ანდერსენ ჯორჯია" მსოფლიოს 174-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი და ასოცირებული ფირმების საერთაშორისო გაერთიანების, ანდერსენ გლობალის (Andersen Global®) წევრია, რომელიც კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო, იურიდიულ, შეფასების და ბიზნესის საკონსულტაციო სერვისების ფართო სპექტრს.